

პროექტი

„ახალგაზრდა ფინანსისტები“

პროექტის ავტორები:

შმაგი ბურდული

ბექა ბურდული

შესავალი

ახალგაზრდა თაობისთვის ფინანსური განათლების მიცემა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის. გარდა სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული მასალისა, მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა ახალგაზრდამ მიიღოს ფინანსური ცოდნა, რაც უნდა მოხდეს სხვადასხვა ღონისძიებებში მათი ჩართულობით, სკოლებში საინფორმაციო კამპანიების ჩატარებით და სხვადასხვა პროექტების განხორციელებით, რომ რაც შეიძლება ბევრი ახალგაზრდისთვის გახდეს ეს სფერო ინტერესის საგანი.

გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ ფინანსური განათლება ადამიანს უფრო ძლიერს ხდის, რადგან მან უკვე იცის როგორ უნდა მოაგვაროს ფინანსებთან დაკავშირებული ესა თუ ის პრობლემა. იმისთვის, რომ ეს სიმძლიერე მოიპოვო, რა თქმა უნდა აუცილებელია ფინანსური განათლების მიღება, რომელიც პატარა ასაკიდანვე უნდა დავიწყოთ. ცხოვრების მანძილზე უამრავი ფინანსური გადაწყვეტილების მიღება გვინევს დაწყებული ყოველდღიური მოხმარების პროდუქტის შექენით, დამთავრებული ბინის ან აგარაკის შექენით. სწორედ ასეთი მარტივი თუ რთული გადაწყვეტილებების მიღებაში დაგვხმარება ჩვენს მიერ ქვემოთ შემოთავაზებული პროექტი. ასევე, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ის წესები და გზები, რითაც დავიცავთ ჩვენს ფინანსებს შესაძლებელი თაღლითური ქმედებებისგან, რომელთა რაოდენობა ყოველდღიურად მნიშვნელოვნად იზრდება.

პროექტის შინაარსი

პროექტი „ახალგაზრდა ფინანსისტები“ გათვლილია უფროსკლასელებისთვის. კერძოდ, 10-11-12 კლასის მოსწავლეებისთვის. გადავწყვიტეთ, რომ გავაკეთოთ ინტეგრირებული პროექტი, რომელიც მოიცავს როგორც ფინანსების საწყისების თეორიულ შესწავლას, ასევე მათ პრაქტიკაში გამოყენებას და შემდეგ ახალგაზრდულ ბანაკში ე.წ. „თიმ ბილდინგის“ მეშვეობით სწავლას და ამავედროულად გართობას, მაქსიმალურად შემცირებული ე.წ. ლექციური ხასიათის შეხვედრებით და რაც შეიძლება მეტი აქტიური და მრავალფეროვანი პატარა პროექტებით. პროექტის განხორციელებისთვის დაგვჭირდება, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ პროექტს მხარი დაუჭირონ ფინანსურმა ორგანიზაციებმა. ჩაერთონ მასში, როგორც ადამიანური, ასევე

მათერიალური და ფინანსური რესურსებით. სასურველია მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მოხდეს პროექტის დაფინანსება.

პროექტის ხანგრძლივობა შეადგენს 1 თვეს და მოიცავს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ და ბანაკის ტიპის შემეცნებით აქტივობებს. სასურველია, რომ პროექტი წელიწადში მინიმუმ ორჯერ მაინც ჩატარდეს, რომ რაც შეიძლება ბევრ მოსწავლეს ჰქონდეს შესაძლებლობა დაეუფლოს ფინანსების საწყისებს, მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება, შეიძინოს მეგობრები და მომავალში სხვა საინტერესო პროექტებშიც ერთად მიიღონ მონაწილეობა.

პროექტის მონაწილეების შერჩევა: პროექტში მონაწილეობის მსურველებისთვის გამოცხადდება შესარჩევი ტური, სახელწოდებით „მომავალი ფინანსისტი მე“. პროექტში მონაწილეობის მსურველებმა თავიანთი შეხედულებისამებრ, რაც შეიძლება კრეატიულად უნდა შექმანან ნამუშევარი. ეს შეიძლება იყოს კატარა ჩანახატი, ფოტო, ვიდეო, აკლიკაცია, ანიმაცია, ორიგინალური ფრაზა ან ნებისმიერი სხვა რამ, რითიც ისინი შეძლებენ დაგვანახონ, რატომ უნდა ავირჩიოთ კონკრეტულად მათი კანდიდატურა. შესარჩევი ტურით შევძლებთ მოსწავლეებში შემოქმედებითობის უნარი აღმოვაჩინოთ, ასევე დავინახავთ, როგორ წარმოუდგენიათ საკუთარი თავი ფინანსების სფეროში.

შერჩეულ კანდიდატებთან მოხდება 1 კვირით ადრე დაკავშირება და ინფორმირება პროექტში მონაწილეობის შესახებ.

სასურველია, რომ ჯგუფში იყოს არაუმეტეს 20 მოსწავლისა.

პროექტი დაყოფილია სამ ნაწილად:

- თეორიული ნაწილი - 1 კვირა;
- პრაქტიკული ნაწილი - 2 კვირა;
- ბანაკი - 1 კვირა;

თეორიული ნაწილი

თეორიული სწავლება მოიცავს 1 კვირიან კურსს. დღეში 3 საათიან ლექციებს. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ლექცია იყოს როგორც შემეცნებითი, ასევე მართივად აღქმადი და რაც მთავარია სასარგებლო ინფორმაციის მატარებელი.

სწავლება ჩატარდება ოთახში, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა საჭირო ინვენტარით და სასწავლო მასალებით. მოსწავლეებს დაურიგდებათ პროექტის მხარდაჭერი ორგანიზაციების ბრენდირებული საკანცელარო ნივთები: კალმები, რვეულები, ბლოკნოტები.

დღე 1: გაცნობითი ხასიათის ლექცია - თითოეული მოსწავლე გვაცნობს საკუთარ თავს და ერთი წინადადებით კასუხობს კითხვას: „რას მივიღებ 1 თვის შემდეგ პროექტისგან?“. კასუხებს მენტორი იწერს და ინახავს შემაჯამებელი დღისთვის.

აქტივობა: ყუთში ვყრით ფურცელზე დაწერილ სხვადასხვა ფინანსურ ტერმინს. მაგალითად: ვალუტა, ოვერდრაფტი, დეკოვიტი, საკომისიო, სესხი, იკოთეკა, ბანკომატი და ა.შ. თითოეული მონაწილე ყუთიდან იღებს ერთ ფურცელს და ამბობს ტერმინის განმარტებას. ბლოკნოტში იწერს მენტორის და მოსწავლეს, კვლავაც შემაჯამებელი დღისთვის. მამ: მოსწავლეს ამოუვიდა სიტყვა იკოთეკა და მისი ვარაუდით ეს ტერმინი ნიშნავს გარკვეული სახის ჯარმას. ვინერთ მის ვარიანტს და 1 თვის შემდეგ შემაჯამებელ გაკვეთილზე ვეკითხებით, თუ რას ნიშნავს სიტყვა იკოთეკა. მას უკვე ეცოდინება, რომ ეს არის არა ჯარმა, არამედ მოვალის ან მესამე პირის უძრავი ქონების გამოყენება ფულადი ან/და არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას.


ლექცია: მენტორი საუბრობს შემდეგ თემებზე - რა არის ფინანსები? ხარჯები და დაზოგვა.

დავალება: ყულაბა VS ანაბარი. ნებისმიერი სახით მოსწავლემ მეორე დღეს უნდა წარმოადგინოს „ყულაბა VS ანაბარი“ ნაშრომი, ეს შეიძლება იყოს სურათის, ვიდეოს, აკლიკაციის, მოკლე თემის სახით - არჩევანი მოსწავლის შემოქმედებითობაზეა.

როგორც აღვნიშნეთ, შეხვედრები დაახლოებით 3 საათის განმავლობაში ჩატარდება, ამ დროის მანძილზე შესაძლებელია თითქმისდა ჩვეულებრივი ქმედებების დავუკავშიროთ შეკრების მთავარ მიზანს. ოთახში იქნება პატარა კუთხე წასახემსებლებით, რომელთაც მითითებული ექნებათ ღირებულება, მონაწილეებს ერთი დღის განმავლობაში მიეცემათ კონკრეტული ოდენობის ქულები და ამ ქულების მეშვეობით შეეძლებათ „შეიძინონ“ წასახემსებლები. ვეცდებით, რაც შეიძლება გამომწვევი და საყვარელი პროდუქტები იყოს განთავსებული, რომ მათ ამ აქტივობით განივითარონ ფულის (ჩვენ შემთხვევაში ქულების) არჩევანის გაკეთებისა და ფულის დაზოგვის ჩვევა.

დღე 2: ყულაბა VS ანაბარი - დავალების განხილვა.

ყულაბის და ანაბრის დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა. ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზე ვწერთ ყულაბის და ანაბრის განმასხვავებელ ნიშნებს, ხოლო საერთო ადგილას ვწერთ საერთო დამახასიათებელ ნიშნებს.



ლექსია: მენტორი საუბრობს შემდეგ თემებზე: ანაბრის სახეები; დეკოზიტის ეფექტური საკროცენტო განაკვეთი.

მოსწავლეები აკეთებენ ტესტს: „რა იცით დეკოზიტების შესახებ?“:

[HTTPS://WWW.FINEDU.GOV.GE/GE/TESTS/SHOW/RA-ITSIT-DEPOZITEBIS-SHESAKHEB-1](https://www.finedu.gov.ge/ge/tests/show/ra-itsit-depozitebis-shesakheb-1)

მოსწავლეები რამდენიმე ბანკის შემთავაზებას ეცნობიან, ადარებენ ერთმანეთს და არჩევენ საუკეთესო ვარიანტს.

განვიხილავთ ანაბრის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს: ანაბრის ვადას, საკროცენტო განაკვეთს, სარგებლის დარიცხვის მეთოდს.

დავალება: ონლაინ გაკვეთილებისთვის გყირდებათ ახალი ლექტოკი. მშობლებთან განხილვის შემდეგ გადაწყვიტეთ, რომ შაბათ-კვირას წახვალთ მაღაზიებში და შეარჩევთ ლექტოკს.

მაღაზიაში ძალიან მოგეწონათ ერთი მოდელი, რომელიც 3500 ლარი ღირს. მშობლებს საკმარისი თანხა არ აღმოაჩნდათ, შეუძლიათ მხოლოდ 1500 ლარის გადახდა. კონსულტანტმა შემოგთავაზათ განვადების გაკეთება, თუმცა კვირა დღეს ბანკის წარმომადგენლები არ არიან. სანამ რომელიმე კონკრეტული ბანკის შემოთავაზებას მოისმენთ, მშობლებს დაეხმარეთ, ონლაინ გადახედეთ რამოდენიმე ბანკის შემოთავაზებას, შეადარეთ პირობები ერთმანეთს და საუკეთესო ვარიანტი აირჩიეთ.

დღე 3: დავალების განხილვა - როგორ შევარჩიეთ განვადების პირობები ლექტოკის საყიდლად.

ლექსია: მენტორი საუბრობს შემდეგ თემებზე: სესხის ტიპები; რჩევები სესხის აღებაზე.

განვიხილავთ მითებს სესხის დაფარვასთან დაკავშირებით. ვკითხულობთ ბლოგ-კოსტს: <https://finedu.gov.ge/ge/blogi-1/3-miti-seskhis-dafarvastan-dakavshirebit-1>

ვუყურებთ ვიდეოს და განვიხილავთ მას: <https://m.facebook.com/finedu.gov.ge/videos/819725238888079/>

დავალება: დაგეგმეთ მოგზაურობა, რომელიმე ქვეყანაში და განიხილეთ მასთან დაკავშირებული ფინანსური ნიუანსები.

დღე 4: დავალების განხილვა.

მაგალითად: ერთ-ერთმა მოსწავლემ გადაწყვიტა მემოზრებთან ერთად იმოგზაურს ნორვეგიაში - ქვეყანა მდებარეობს ჩრდილოეთ ევროპაში, სურს მოინახულოს ქვეყნის დასავლეთით მდებარე ქალაქი ბერგენი, რომლის სანაპირო ზოლი იუნესკოს მსოფლიო ფონდის მემკვიდრეობის ნაწილია. 2000 წელს კი ბერგენი ევროპის ერთ-ერთ კულტურულ დედაქალაქად დასახელდა.

მოგზაურობის პერიოდი: ივნისის ბოლო, 5-7 დღე.

მოსწავლეს ჩამოთვლილი აქვს, თუ როგორ უნდა იმოგზაუროს ბიუჯეტურად:

- სარგებლობს ბიუჯეტური ავიაკომპანიის მომსახურებით, ავიაბილეთს ყიდულობს მაშინ, როცა ბილეთი ყველაზე იაფი იქნება - დაახლოებით 300-350 ევრო.
- არჩევს ბიუჯეტურ სასტუმროს, რადგან მემოზრებთან ერთად მიდის, შეიძლება შეარჩიოს ჰოსტელიც - დღეში არაუმეტეს 20 ევროს ოდენობით.
- ქალაქში გადასადგილებლად გამოიყენებს საზოგადოებრივ ტრანსპორტს - დღეში არაუმეტეს 3 ევროს ოდენობით.
- წინასწარ გაეცნობა სხვების გამოცდილებებს და რჩევებს. შეარჩევს ღირსშესანიშნავი ადგილებს, რომლებიც უნდა მოინახულოს, თუ შესაძლებელია წინასწარ იყიდოს ონლაინ ბილეთებს.
- დათვლის კვების ხარჯებს - არაუმეტეს 10 ევრო დღეში.
- სავალუტო ხარჯები: ნორვეგიის ეროვნული ვალუტაა: ნორვეგიული კრონი. მოსწავლემ გადაწყვიტა, რომ წაიღოს ევრო და შემდეგ ადგილზე იყიდოს ნორვეგიული კრონი.

ლექსია: მენტორი საუბრობს შემდეგ თემებზე: ვალუტა; ქართული ლარი; მსოფლიოს სხვადასხვა ვალუტა.

სახელისო აქტივობა: ყუთში ყრია სხვადასხვა ძვეყნის „ყალბი“ ფული. მოსწავლეების იღებენ თითო-თითო კუპიურას, განიხილავენ მას, ადგენენ რომელი ძვეყნის ვალუტაა და ანთავსებენ კედელზე მოთავსებულ რუკაზე.

დავალება: სახლში გააკეთეთ ფინედუს ვებ-გვერდზე მოცემული ტესტი: <https://finedu.gov.ge/ge/tests/register/gakhdebit-tu-ara-fishingis-mskhverpli-1> „გახდებით თუ არა ფიშინგის მსხვერპლი?“. ამოიწერეთ თქვენი პასუხები და შედეგი.

დეფი 5: დავალების განხილვა.

ვუყურებთ ვიდეოს: <https://www.youtube.com/watch?v=9Tfaak8NVvg>

ლექსია: მენტორი საუბრობს შემდეგ თემებზე: ფინანსური თაღლითობის სახეები; რჩევები ფიშინგისგან თავის დასაცავად.

სახელისო აქტივობა: მოსწავლეები იყოფიან 4 ჯგუფად. ურიგდებათ მათ დიდი ზომის ფორმატები, ფანდრები, მარკერები, ფერადი ფურცლები, ფლომასტერები და სხვადასხვა საკანცელარიო ნივთები. თითოეულმა ჯგუფმა უნდა შექმას ნამუშევარი და 1 საათის შემდეგ გააკეთოს პრეზენტაცია - შეჯამება, თუ რა ისწავლეს ამ ერთი კვირის მანძილზე.

კვირის ბოლოს მენტორი მოახდენს მოსწავლეების შეფასებას.

პრაქტიკული ნაწილი

გარდა თეორიული სწავლისა, უნივერსიტეტისთვის უნივერსიტეტის პრაქტიკული ნაწილიც. საფინანსო ორგანიზაციებში პრაქტიკის გავლა, სტაჟირება მხოლოდ სტუდენტებისთვის არის შესაძლებელი. მოსწავლეები კი ამ შესაძლებლობას მოკლებულები არიან. რაც არ უნდა კარგად იცოდეთ ფინანსების თეორიული ნაწილი, უნივერსიტეტისთვის თუ როგორ შეძლება მის პრაქტიკაში გამოყენებას. შეიძლება თეორიული ცოდნა, თუ მას გარკვეული დროის განმავლობაში არ იყენებ, დაგვიწყდეს. ხოლო იმას, რასაც პრაქტიკულად განახორციელებ, მინიმალურია იმის შანსი, რომ მალე დაგვიწყდეს, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენს პროექტში მოგვეხდინა თეორიული და პრაქტიკული ნაწილების ინტეგრირება. პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად სტაჟირება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზაა როგორც პიროვნული, ასევე პროფესიული ზრდისთვის.

„ახალგაზრდა ფინანსისტების“ მეორე ეტაპი მოიცავს ორ-კვირიან სტაჟირებას პროექტის მხარდამჭერ ორგანიზაციებში. მოსწავლეები გაეცნობიან სხვადასხვა განყოფილების მუშაობის სტრუქტურას, მაგ: როგორ მუშაობენ ოპერატორები, მოლარეები, როგორ გასცემს სესხს სესხის ოფისერი, როგორ მართავს გუნდს ფილიალის მენეჯერი და ა.შ. თითოეული მოსწავლე მიმდებარებული იქნება ფინანსური ორგანიზაციის ერთ-ერთ თანამშრომელთან, რომელიც 2 კვირის შემდეგ შეაფასებს მოსწავლეს.

სტაჟირება უნდა უზრუნველყოს არა მარტო საშუალო გამოცდილების შექმნა, არამედ სამომავლო პროფესიის არჩევაც. როგორც ვიცით, პროექტი გათვლილია სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებზე, რომლებიც დგანან გამოწვევის წინაშე, აირჩიონ მომავალი პროფესია. ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი მიზანის სწორედ ესაა, მოსწავლეებმა ჩვენი დახმარებით შეძლონ მომავალი პროფესიის ზუსტად შერჩევა. ფინანსები აირჩიონ არა იმიტომ, რომ ეს სფერო კოკულარულია, არამედ იმიტომ, რომ ეს მათი ინტერესის სფეროა. გარდა ამისა, უნდა გამოიმუშაონ ისეთი უნარ-ჩვევები, როგორცაა კუნთუალურიობა, დროის მართვა, ორგანიზებულობა, პრობლემების გადაჭრა, გუნდში მუშაობა.

სტაჟირების ბოლო დღეს მოსწავლეები ისევ ერთად იკრიბებიან მენტორთან, იყოფიან კვლავ 4 ჯგუფად, ურიგდებათ დიდი ზომის ფორმატები, ფანქრები, მარკერები, ფერადი ფურცლები, ფლომასტერები და სხვადასხვა საკანცელარო ნივთები. თითოეულმა ჯგუფმა უნდა შექმას ნამუშევარი და 1 საათის შემდეგ გააკეთოს პრეზენტაცია - შეჯამება, თუ რა ისწავლეს ამ ორი კვირის მანძილზე და მოახდინონ წინა ნამუშევართან მისი შედარება.

ბანაკი

პროექტის მესამე ნაწილი მოიცავს მოსწავლეების ბანაკში წასვლას და იქ ე.წ. “თიხ ბილიდინგის“ მეშვეობით არაფორმალურ გარემოში სწავლას და ამავდროულად გართობას.

მაგალითისთვის ბანაკი შეიძლება გაიმართოს ბაკურიანში, ბორჯომში, მანგლისში და ა.შ. ჩვენ შევარჩიეთ ბაკურიანი.

- ბანაკში ყოფნის დრო შეადგენს 5 დღეს/4 ღამეს.
- ბანაკს ეყოლება ხელმძღვანელი და მისი ასისტენტი, რომლებიც კასუხისმგებელნი იქნებიან ბანაკის ჩატარებაზე და მოსწავლეების უსაფრთხოებაზე.
- ბანაკისთვის სპეციალურად გვეყოლება მოწვეული სპეციალისტები, რომლებიც ჩაუტარებენ ბანაკის მონაწილეებს სხვადასხვა გასართობ და ინტერაქტიულ სემინარებს.

ბანაკი მოიცავს:

- ტრანსფერს: ტრანსპორტირება - თბილისი-ბაკურიანი-თბილისი;
- სასტუმროში განთავსებას;
- სამჭირად კვებას;
- მაისურებს, კეპებს, საკანცელარო ნივთებს პროექტის და მისი მხარდამჭერი ორგანიზაციების ლოგოებით;
- გასართობ-ინტერაქტიულ სემინარებს;
- სამედიცინო უზრუნველყოფას /აუცილებელია, რომ ბანაკს ჰყავდეს პედიატრი/;

- ექსკურსიებს, ლაშქრობას;
- ფოტო/ვიდეო გადაღებას;

ღღის განრიგი იქნება შემდეგი:

- 8:30 - დილის ვარჯიში
- 9:00 - საუზმე
- 10:00 - სემინარი (მონვეული სპეციალისტი ჩაატარებს სემინარს)
- 12:00 - კრეატიული თამაშები/თავისუფალი დრო;
- 13:00 - ექსკურსია, ლაშქრობა ან შეჯიბრებები;
- 14:00 - სადილი
- 16:00 - სემინარი (მონვეული სპეციალისტი ჩაატარებს სემინარს)
- 18:00 - თავისუფალი დრო
- 19:00 - ვახშამი
- 20:00 - წვეულება, ღონისძიება, კარაოკე, სკექტაკლის ან ფილმის ჩვენება.

წარმომადგენთ რამდენიმე აქტივობა-თამაშს, რომელიც გამოყენებულ იქნება ბანაკში.

აქტივობა 1. მოგზაურობა ფულის სამყაროში.

<https://finedu.gov.ge/storage/files/doc/00E10083009B00E10083009D00E10083009200E10083009600E10083009000E1008300A300E1008300A000E10083009D00E10083009100E100830090002000E1008300A400E1008300A300E10083009A00E10083009800E1008300A1002000E1008300A100E10083009000E10083009B00E1008300A700E10083009000E1008300A000E10083009D00E1008300A800E100830098.pdf> ბროშურის მიხედვით ვაკეთებთ აქტივობას - მოგზაურობა ფულის სამყაროში. მოსწავლეების იყოფიან გუნდებად და ირჩევენ გუნდის ლიდერს. სულ გვყავს 4 ჯგუფი, თითოეულ ჯგუფში 5 მოსწავლე.

აქტივობისთვის დაგვჭირდება ღია სივრცე, სადაც წინასწარ იქნება განთავსებული თამაშისთვის საჭირო სხვადასხვა ინვენტარი.

დავალება 1: გაჩერება პირველი: ქვის ხანა - მოსწავლეებს ურიგდებათ ფურცელზე დაწერილი დავალება:

„ამ დროს ფული იმ ფორმით, რომორსაც მაც ჩვენ ვიცნობთ, არ არსებობდა. ამის ნაცვლად, ადამიანები ერთმანეთში პირდაპირ ცვლიდნენ საქონელს: მაც, მონადირე ხორცს აწვდიდა ფერმერს მარცვლეულის სანაცვლოდ“

მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომ საუბარია ქვის ხანაზე, მოძებნონ ქვის გროვა, რომლის ქვეშაც შემდეგი დავალება დახვდებათ (4 ცალი თითოეული ჯგუფისთვის, იმარჯვებს ის, ვინც უფრო სწრაფი იქნება).

დავალება 2: გაჩერება მეორე: ანტიკური საბერძნეთი - მოსწავლეებს ქვის ქვეშ დახვდებით ფურცელზე დაწერილი დავალება:

„ვერცხლის ღრამმა ძვირფასი ლითონისგან დაზაფებული ერთ-ერთი პირველი მონეტაა. ამ მონეტაში გარკვეული რაოდენობის ძვირფასი ლითონი იყო და შესაბამისი ღირებულებაც ჰქონდა. მონეტების შემოღებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა და გაააქტიურა ვაჭრობა ანტიკურ სამყაროში. მონეტები სანდო და მოსახერხებელი გაცვლის საშუალება იყო.“

მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომ საუბარია საბერძნეთზე და მოძებნონ ადგილი, სადაც საბერძნეთის სურათის მქონე სტანდის ქვეშ ყრია მონეტები, რომელშიც ურევია შემდეგი დავალება.

დავალება 3: გაჩერება მესამე: ანტიკური რომი - მოსწავლეებს ბერძნულ მონეტებთან ერთად ფურცელზე დაწერილი დავალება:

„ამ ქვეყნის მონეტები ღვთაება იუნონა მონეტას სახელობის თაქარში იჭრებოდა; სწორედ აქედან მოდის სიტყვა „მონეტა“.

მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომ საუბარია რომზე და მოძებნონ ადგილი, სადაც რომის კოლიზუმის მაკატი დგას და ერთ-ერთ თაღში მოძებნონ შემდეგი დავალება.

დავალება 4: გაჩერება მეოთხე: ძველი საქართველო - მოსწავლეებს რომის კოლიზუმის მაკატი დახვდებით შემდეგი დავალება:

„ქართული პირველი მონეტა?“
მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომ საუბარია კოლხურ თეთრზე და მოძებნონ ადგილი, სადაც განთავსებულია საქართველოს რუკა და რუკაზე ამოიკითხონ წითელი მარკერით დატანილი წარწერა - ქალაქის ფული.

დავალება 5: გაჩერება მეხუთე: ქალაქის ფული - მოსწავლეებმა ამოიკითხეს ფრაზა - ქალაქის ფული. უნდა მოძებნონ ადგილი, სადაც ყრია უამრავი ქალაქის ფული - „ნიმუში“. ერთ-ერთ მათგანზე წერია შემდეგი დავალება:

„იკოვე ყველა ორმოსდაათ ლარიანი კუპიურები, ოთხ მათგანზე (რადგან 4 ჰბუფია) დატანილია შემდეგი დავალება“

დავალება 6: გაჩერება მეექვსე: ამოიყანით ყალბი ბანკნოტი - მოსწავლეებმა ორმოსდაათ ლარიანებზე ამოიკითხეს დავალება:

ხეზე ჩამოკიდებულ 5 ლარიანებიდან ერთ-ერთი ნამდვილია, დანარჩენი კი ყალბი; იკოვებ, რომელია ნამდვილი კუკიურა და გახდი გამარჯვებული.

თამაშის შემდეგ მოსწავლეებს ჩაუთარდებათ მცირე ლექცია-სემინარი ფულის მახასიათებლების, ფულის ფორმების და ფუნქციების შესახებ. გააცნობიან საინტერესო ფაქტებს ფულის შესახებ.

აქტივობა 2. ფულის მანქანა - ფულის მანქანა არის ინტერაქტიული ჯგუფური თამაში, რომელიც მოითხოვს ბევრ მოძრაობას, ხმაურს და სიცხილს, რაც დაეხმარება მონაწილეებს მიიღონ საუკეთესო შედეგი. სასურველი, რომ გოგონები და ბიჭები თანაბრად გადანაწილდნენ.

გოგონები და ბიჭები დაიყოფიან ცალ-ცალკე ჯგუფებად.

თამაშის წამყვანი დააწესებს ბიჭებისა და გოგონების „ღირებულებას“. მაგალითად, ბიჭების ღირებულება იქნება 5 თეთრი, ხოლო გოგონების - 10 თეთრი (თითოეული). როდესაც თამაშის რაუნდი დაიწყება, წამყვანი იტყვის ღირებულებას: „25 თეთრი!“ მონაწილეებმა კი უნდა აირჩიონ და შექმნან მოცემული ღირებულების ექვივალენტი ჯგუფი.

მაგალითად, 5 ბიჭს (თითოეული 5 თეთრის ღირებულების) შეუძლიათ შექმნან ერთი ჯგუფი ჯამში 25 თეთრად, ან 2 გოგონა და ერთი ბიჭი, ან 3 ბიჭი და ერთი გოგონა და ა.შ.

იმ მონაწილეებს, რომლებიც ვერ მოახერხებენ შეუერთდნენ რომელიმე ჯგუფს, მოუწევთ „ჭარიმის გადახდა“ თამაშის ბოლოს.

შემდეგ დაიწყება მეორე რაუნდი და წამყვანი დაასახელებს შემდეგ „ღირებულებას“: „15 თეთრი!“ და ა.შ.

წამყვანს რაუნდებს შორის შეუძლია შეცვალოს ბიჭებისა და გოგონების „ღირებულება“.

საბოლოოდ წამყვანი გადაწყვეტს, როდის უნდა დამთავრდეს თამაში და ბოლოს, ყველაზე მეტი „ჭარიმის“ მქონე მონაწილეს მოუწევს ყველა სხვა მონაწილის მაგივრად გადაიხადოს „ჭარიმა“.

„ჭარიმას“ ერთად მოიფიქრებენ მოსწავლეები. ეს შეიძლება იყოს 20 ბუქნი; ხმაბაღლა სიმღერა; ცეკვა ან ნებისმიერი სხვა რამ.

აქტივობა 3. ტრენინგი ბანკის ძარცვის შესახებ - ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც ადამიანებს შეუძლიათ გააკეთონ ძარცვისას არის დამნაშავის გარემოების მაქსიმალურად კარგად დამახსოვრება. სამწუხაროდ, მანამ სანამ მძარცველი ნიღაბს

არ გაიკეთებს, მას განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევენ, როგორც რიგით მომხმარებელს. ამიტომ, ბანკის ქარცვის შემთხვევის დროს ტრენინგის ჩატარებისას, აუცილებლად უნდა განვიხილოთ გზები, რომლითაც მოხდება კრიმინალის აღკვეთა, რისთვისაც შემოგთავაზებთ თაბაშ „ასისტენტი“.

ამ თაბაშში, ყველა იკრიბება ერთ ოთახში და ვეუბნებით მათ, რომ ვეუბნობთ მენეჯერების თაბაშზე. შემოგვყავს ასისტენტი, რომელსაც უჭირავს სხვადასხვა ნივთებით სავსე ყუთი, მაგალითად, კალამი, სტაქლერი, გასაღები და სხვ.

უმატესობას ეგონება, რომ ეს ნივთები გამოყენებული იქნება თაბაშში, მაგრამ როცა ასისტენტი დათოვებს ოთახს, შევეკითხებით მონაწილეებს რა დაამახსოვრდათ ასისტენტზე, ის მონაწილე კი, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს ასისტენტს - გაიმარჯვებს. ამ თაბაშით ხაზი გაუსდება ქარცვისას დამნაშავეს გარემოებისა და ყველა იმ ნივთზე ყურადღების გამახვილებების მნიშვნელობაზე, რომელსაც იმ მომენტში მძარცველი გამოიყენებს.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული აქტივობები მოსწავლეების გაახალისებთ და თან კრატეიკულ ცოდნასაც შესძენთ.

პროექტის ბოლო დღეს თბილისში დასკვნითი შემაჯამებელი ღეძცია შედგება. მოსწავლეებს დაურიგდებათ პირველ ღეძციაზე „რას მივიღებ 1 თვის შემდეგ პროექტისგან?“ კითხვაზე გაცემული პასუხები და მოხდება შეფასება, მიიღეს ის, რასაც ელოდნენ?

ასევე ყუთში კვლავ განთავსებული იქნება სხვადასხვა ტერმინები, თითოეული მოსწავლე ამოიღებს ერთ-ერთ ფურცელს და განმარტავს მასზე მოცემულ ტერმინს. გვჭარა, რომ ყველა მათგანი შეძლებს ტერმინის სრულად და საფუძვლიანად განმარტებას.

შევძენით „მოსწავლეების რჩევების და სურვილების ნიგნს“ - ამ ნიგნში პროექტში მონაწილე ყველა მოსწავლე დააფიქსირებს თავის აზრს პროექტთან დაკავშირებით, ეს იქნება პროექტის შემაჯამება, რჩევები მომავლისთვის, სურვილები და ა.შ. ეს ყველაფერი დაგვეხმარება პროექტი უფრო დავხვეწოთ და მოვარგოთ მოსწავლეების სურვილებს.

პროექტის ძლიერი და სუსტი მხარეები

ძლიერი მხარეები

- ინტეგრირებული პროექტი - შესაძლებლობა მოსწავლეებმა პრაქტიკაში დაინახონ თეორიული საკითხები.
- კვალიფიციური, პრაქტიკოსი მენტორები - პროექტის ფარგლებში მოსწავლეები მიიღებენ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას კვალიფიციური მენტორებისგან.
- სხვადასხვა უნარების გამომუშავების შესაძლებლობა - პროექტის განმავლობაში მოსწავლეები შეიძენენ ისეთ უნარ-ჩვევებს, როგორიცაა კუმეტუალურობა, გუნდურად მუშაობა, პროდუქტიულობა, კრეატიულობა და ა.შ.
- პროექტი მოსწავლეებს დაეხმარება მომავალი პროფესიის განსაზღვრაში. მათ ეცოდინებათ იმ უნარ-ჩვევებისა და მოვალეობების შესახებ, რაც მათ ფინანსურ სფეროში მუშაობისას გამოადგებათ. პროექტის დასასრულს მათ მკაფიო წარმოდგენა შეეძენებათ აღნიშნულ სფეროზე.

სუსტი მხარეები

- ვადები - პროექტის განხორციელება დამოკიდებულია სასწავლო პროცესთან. პროექტში ჩართულ მონაწილეებს ხელი არ უნდა შეეშალოს სკოლაში სიარულში. ამიტომ მისი განხორციელება მიზანშეწონილი იქნება არდადეგების პერიოდში.
- ლოკაცია - შესაძლოა პროექტში ჩართვის სურვილი ბევრმა მოსწავლემ რეგიონებიდანაც გამოთქვას, რადგან პროექტი გათვლილია ფიზიკური შეხვედრების აშტივობაზე, ბევრი მოსწავლისთვის რთული იქნება შეხვედრის ადგილზე პროექტის მიმდინარეობისას სხვადასხვა რეგიონებიდან შექრება, ამიტომ ეს პრობლემაც უნდა გავითვალისწინოთ.

შესაძლებლობები

- პროექტის წარმატებულ მოსწავლეებს უნდა მიეცეთ ფინანსურ ორგანიზაციებში უფრო გრძელვადიანი ან საზაფხულო დასაქმების შესაძლებლობა. მაგალითად, იმ მოსწავლეებს, რომლებსაც შეუსრულდათ 16 წელი და სურთ სამსახურის დაწყება, თუნდაც იმისთვის, რომ შეაგროვონ თანხა უნივერსიტეტში სწავლისთვის ფინანსურმა ორგანიზაციებმა უნდა შექმნან სტაჟირების/დასაქმების პროგრამა წარმატებულ მოსწავლეებისთვის. ეს პრაქტიკა დაეხმარება როგორც მოსწავლეებს, ასევე ფინანსურ ორგანიზაციებს. მოსწავლეები ზუსტად განსაზღვრავენ თავიანთ მომავალ პროფესიას, ფინანსური ორგანიზაციები მიიღებენ კვალიფიციურ კადრს.

გამოყენებული მაგალითის წყარო

ჩვენს მიერ შემოთავაზებული პროექტის იდეა გაჩნდა ჩვენი უფროსი დის გამომცდილების საფუძველზე. 2010 წელს იმყოფებოდა სასწავლებლად ქალაქ ჰაიდენჰაიმში, გერმანიაში „DHBW ჰაიდენჰაიმის“ უნივერსიტეტში, სადაც სტუდენტები 3 თვიან თეორიულ კურსს სწავლობდნენ უნივერსიტეტში და შემდეგი 3 თვის განმავლობაში კარტნიორ დაწესებულებაში სტაჟირებას გადიოდნენ. გერმანელი სტუდენტებისთვის თეორიული მასალის ათვისებაც მარტივი იყო, რადგან მათ ბევრი რამე უკვე პრაქტიკაში ჰქონდათ გავლილი. ქართველი სტუდენტები კი უფრო ბევრ დროსა და ენერჯიას ხარჯავდნენ, რომ თეორიული მასალა აეთვისებინათ. სწორედ ამ მაგალითმა მოგვცა იდეა, შეგვექმნა პროექტი „ახალგაზრდა ფინანსისტები“.

პროექტისთვის საჭირო რესურსები

- თეორიული საკითხების შესწავლისთვის გამოყოფილი ოთახი, რომელიმე დაწესებულებაში. შესაბამისი ავეჯით (მაგიდაები, სკამები) აღჭურვილი.
- ელექტრონული მოწყობილობები: კომპიუტერი, პროექტორი.
- საკანცელარიო ნივთები: ბრენდირებული პროექტის და მისი მხარდამჭერი ორგანიზაციების ლოგოებით.
- ადამიანური რესურსი: მენტორები, პროექტის ხელმძღვანელები, ბანაკის ხელმძღვანელი, ბანაკში - კედიატრი.
- ფინანსური რესურსი: პროექტის დაფინანსება მხარდამჭერი ორგანიზაციების მიერ.
- ბანაკისთვის - სასტუმრო, ტრანსპორტი.

რატომ იქნება პროექტი ეფექტიანი და შედეგიანი?

კიდევ ერთხელ გავამახვილებთ ყურადღებას პროექტის უნიკალურობაზე. პროექტში გვაქვს სინთეზი თეორიის, პრაქტიკის და გართობის. მოსწავლეები ეფექტიანად მიიღებენ ფინანსურ განათლებას, რაც ხელს შეუწყობს მათ მომავალი პროფესიის არჩევაში, ჯგუფური სამუშაოები გააღრმავებს მათ კომუნიკაციის, ადამიანებთან ურთიერთობისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარებს.

შედეგიანი - ფინანსურ ორგანიზაციებს ეყოლება თავიანთი გაზრდილი კვალიფიციური კადრები.

გამოყენებული მასალები:

- www.finedu.gov.ge
- www.nbg.gov.ge